ოქმი N 8

ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო- საბიუჯეტო
კომისიის სხდომისა

ქ. ხობი 2022 წლის 11 აგვისტო

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები:

1. ლევანი ლიპარტია
2. მამუკა ქარდავა
3. სერგო ბერაია
4. აკაკი მალანია
5. გურიელ ქარდავა
6. ბადრი რიჟამაძე
7. ფელიქსი წურწუმია
8. ნინო ბოკუჩავა
9. მალხაზი იოსავა

სხდომას თავმჯდომარეობდა ლ. ლიპარტია - კომისიის თავმჯდომარე

დღის წესრიგი:

1. ხობის მუნიციპალიტეტის მერის დ. ბუკიას 2022 წლის 27 ივლისის N50-502220827 წერილის განხილვა („ხობის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის №17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის შესახებ);

(მომხსენებელი: ლ. ლიპარტია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე);

კენჭი ეყარა დღის წესრიგის წარმოდგენილ ვარიანტს

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 9

წინააღმდეგი -არც ერთი

დაადგინეს: დღის წესრიგი დამტკიცდეს წარმოდგენილი სახით

დღის წესრიგით წარმოდგენილი საკითხის განხილვა

1. ხობის მუნიციპალიტეტის მერის დ. ბუკიას 2022 წლის 27 ივლისის N50-502220827 წერილის განხილვა („ხობის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივი ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 29 დეკემბრის №17 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ დადგენილების პროექტის შესახებ)

(მომხსენებელი: ლ. ლიპარტია - ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო - საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე)

მოისმინეს: ლ. ლიპარტია - მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო ხობის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი ბიუჯეტის ცვლილებების შესახებ დადგენილების პროექტი და განაცხადა რომ ხობის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ადგილობრივ ბიუჯეტში ხორციელდება შემდეგი ცვლილებები:

69,2 ათასი ლარით იზრდება ბიუჯეტის შემოსავლები, კერძოდ: 69,2 ათასი ლარი შემოსავალი მუხლიდან „გრანტები" (მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად).

ასევე 2022 წლის პირველი იანვრის მდგომარეობით არსებული ნაშთიდან ხორციელდება 573,7 ათასი ლარის ასახვა, აქედან:

13,7 ათასი ლარი ცენტრალური ბიუჯეტის ასიგნება და 560,0 ათასი ლარი ადგილობრივი ბიუჯეტის ასიგნება;

ნაშთის 573,7 ათასი ლარი და შემოსულობების ზრდით მიღებული ასიგნებები 69,2 ათასი ლარი (ცენტრალური ბიუჯეტი), სულ 642,9 ათასი ლარი მიიმართება შემდეგ ღონისძიებათა დასაფინანსებლად:

პრიორიტეტის ,,ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია" ასიგნებაზე 560,0 ათასი ლარი, აქედან:

560,0 ათასი ლარი პროგრამის ,,რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების თანადაფინანსება" და პრიორიტეტის „განათლება" ასიგნებაზე 82,9 ათასი ლარი, მიიმართება - პროგრამის ,,საჯარო სკოლების დაფინანსება" ნოჯიხევის ადმინისტრაციული ერთეულის N1 საჯარო სკოლის სპორტული დარბაზის რეაბილიტაციის სამუშაოები.

ასევე აღნიშნა რომ, ხობის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნების გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ" ხობის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 26 დეკემბრის N68 დადგენილების შესაბამისად ხობის მუნიციპალიტეტის 2022 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტში ხობის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებებით მხარჯავი დაწესებულებებისათვის ადგილობრივ ბიუჯეტით გამოყოფილ ასიგნებებში ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლებს შორის განხორციელებულია სხვადასხვა გადანაწილებები.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა კომისიის წევრებს, წარმოდგენილ პროექტთან დაკავშირებით გამოეთქვათ მოსაზრებები, მაგრამ კომისიის წევრების მხრიდან განსხვავებული მოსაზრება არ გამოთქმულა.

სხდომის თავმჯდომარე შემოვიდა წინადადებით საკითხის საკრებულოს ბიუროს სხდომის დღის წესრიგში შეტანის თაობაზე

კენჭი ეყარა წარმოდგენილ წინადადებას

კენჭისყრის შედეგები:
მომხრე - 9
წინააღმდეგი - არც ერთი

დაადგინეს: წარმოდგენილი დადგენილების პროექტი წარედგინოს საკრებულოს ბიუროს სხდომას განსახილველად.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის ამოწურვის შემდეგ სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის თავმჯდომარე ლევანი ლიპარტია